PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

*დანართი №2*

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## სსიპ კოლეჯი „ფაზისი“

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**
**თავმჯდომარე:** ვახტანგ ბოგველიშვილი
**წევრი:** დავით კუპატაძე

*თბილისი, 2020*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების  სახელწოდება: სსიპ კოლეჯი „ფაზისი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის **15/06/2020 N470446** ბრძანების საფუძველზე, მ/წ 29 ივნისს, სსიპ კოლეჯს „ფაზისი“, მისამართზე ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. N 54, ეწვია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისობის შემოწმება. ვიზიტის დაწყებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შეადგინა დღის წესრიგი.

დღის წესრიგის შესაბამისად, შედგა დაწესებულების ხელმძღვანელობასთან შეხვედრა და გასაუბრება; საგანმანათლებლო პროგრამისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა; საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული ადამიანური რესურსის დოკუმენტაციის შემოწმება; საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება; პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა და ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან; საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებასა და განვითარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა და ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან; სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა და ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან; საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალურ რესურსთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემოწმება; საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული ბიბლიოთეკის ფონდის შემოწმება და გასაუბრება ბიბლიოთეკართან; პრაქტიკის ობიექტებთან დადებული მემორანდუმების/ხელშეკრულებების შემოწმება და ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან. ვიზიტის დასასრულს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა გაწეული მუშაობის შედეგები და ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წინაშე წარადგინა ვიზიტისას გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

-

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**წინა ვიზიტისას გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაციები:**

1. ზოგადი მოდულების განმახორციელებელ პირებს გააზრებული აქვთ ინტეგრირებული სწავლების მიზნები, საგნის სწავლების და შეფასების მეთოდები და გამოთქვამენ მზაობას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლებმა ამ ეტაპზე ჯერ არ იციან მოდულური სწავლების სპეციფიკა. კერძოდ, მოდულის ზოგადი, სტანდარტული და დამხმარე ჩანაწერები. სასურველია ამ მიმართულებითაც ჩაუტარდეთ ტრენინგი - **ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის შერჩეულმა პედაგოგებმა უკვე გაიარეს ტრენინგების სრული ციკლი, რომელიც ჩატარდა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესის დაწყებამდე იგეგმება შეხვედრები ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ პედაგოგებთან და მათ ჩაუტარდებათ შესაბამისი (გაცნობითი სახის) ტრენინგები, სადაც ისინი გაეცნობიან მოდულური სწავლების სპეციფიკას, მათ შორის შეფასების სისტემას, პსდ-ში დანერგილი სასწავლო პროცესების განხორცელების წესების შესაბამისად.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

## VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

PDF Eraser Free

ხარვეზები არ გამოვლენილა.

## VII. რეკომენდაციების შეჯამება

**შესაბამისობის რეკომენდაციები:**

**2.2.1(1)**

ვიზიტისას, ექსპერტთა ჯგუფს ადგილზე არ დახვდა საჭირო მატერიალური რესურსები/აღჭურვილობა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კოლეჯს გამოცხადებული აქვს ელექტრონული ტენდერი (დაწყების სავარაუდო თარიღი: 29.06.2020, დასრულების სავარაუდო თარიღი: 30.09.2020) საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი მოწყობილობებისა და უსაფრთხოების საშუალებების შესყიდვის განხორციელების მიზნით, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დაწესებულების მიერ გამოგზავნილ განაცხადში 2.2.1 კომპონენტი დაფიქსირებული იყო „სრულ შესაბამისობაში“ და არ იყო წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა. დაწესებულების განმარტებით, დაფიქსირდა ტექნიკური შეცდომა. ვიზიტის პერიოდში სსიპ კოლეჯმა „ფაზისი“ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა შესაბამისობაში მოყვანის გეგმა, სადაც ასახულია ამ ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის პერიოდი: 29.06.2020 – 30.09.2020, შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა (პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსები/აღჭურვილობის შეძენა) და პასუხისმგებელი პირი. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ზემოაღნიშნული საკითხი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაში“.

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის შესრულების თაობაზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

2.4.1(3)

გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას ზემოაღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსი/აღჭურვილობა არ გააჩნია და გამოცხადებული ტენდერი ვიზიტის პერიოდისთვის ვერ ითვალისწინებს სასწავლო პროცესში დარგის თანამედროვე შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, ვიზიტზე წარმოდგენილ შესაბამისობაში მოყვანის გეგმაში ეს საკითხიც დაწესებულების მხრიდან შეფასდა, როგორც „მეტწილ შესაბამისობაში“. შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობისთვის განსაზღვრულია პერიოდი: 10.09.2020 – 31.10.2020. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს ზემოაღნიშნულ შეფასებას.

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის შესრულების თაობაზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

## VII. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში/Higher Vocational Qualification in Occupational Safety and Environmental Technology |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0712 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | ბრძანება N01/38, 27.05.2020 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. N54 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 30 პროფესიული სტუდენტი, მოდულური, ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. N54 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 150 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

## VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | **სრული 3** | სრული 3 | მეტწილი 2 | |
| 2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი | სრული 3 | **მეტწილი 2** | მეტწილი 2 | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | **სრული 3** | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | მეტწილი 2 | **მეტწილი 2** | ნაწილობრივი 1 | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eusage Free

## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. საქართველოს კონსტიტუციაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს. შრომის უსაფრთხოებას აკონტროლებს და იცავს საქართველოს კანონმდებლობა. ბოლო წლების განმავლობაში, განსაკუთრებულად იმატა დასაქმებულებთა ფიზიკური დაზიანებებისა თუ ფატალური შემთხვევების რიცხვმა, ადამიანების ნაწილისთვის დღემდე უცნობია, რას ნიშნავს შრომის უსაფრთხოება და დაცული სამუშაო გარემო. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები", რომლის დამატებასაც გეგმავს კოლეჯი „ფაზისი" სწორედ ამ მიმართულებით, სხვადასხვა სფეროებს - მშენებლობის, ელექტრომომარაგების, წყალმომარაგების, ნავთობისა და გაზის, ლოჯისტიკის, ტრანსპორტის, მძიმე მრეწველობის, სამთო მრეწველობის, საზღვაო პორტების, კომუნიკაციების, ტურიზმის, სარესტორნო, გასართობ, სავაჭრო, საგანმანათლებო დაწესებულებებს მოიცავს და ამ პროგრამის კურსდამთავრებული უზრუნველყოფს ზემოთჩამოთვლილი მიმართულებებით უსაფრთხოების კონტროლს. ქალაქი ფოთი წარმოადგენს საპორტო ქალაქს, სადაც ფუნქციონირებს სხვადასხვა პროფილის მრავალი გადამზიდი კომპანია და ტერმინალი, საზღვაო ნავსადგური, სხვადასხვა მძიმე და მსუბუქი მრეწველობის კომპანიები, კერძო და საჯარო დაწესებულებები, სადაც ბუნებრივია უდიდესი ყურადღება მიპყრობილ უნდა იყოს სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის საკითხებზე, საფრთხისა და საფრთხის შემცველი ფაქტორების განსაზღვრაზე, იდენტიფიცირებასა და პრევენვიული ზომებისა და რისკების შემცირების ღონისძიებების გატარებაზე, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადების თავიდან აცილებაზე, დასაქმებულთა სწავლებასა და მათთვის ინფორმაციის მიწოდებაზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" თემატიკა არეგულირებს და აერთიანებს ყველა იმ საკითხს, რომელიც მნიშვნელოვანია ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნაში, რისკების შეფასებასა და მათ პრევენციაში.

კოლეჯის მიერ, მიმდინარე ეტაპზე განხორციელებულმა ადგილობრივი ბაზრის კვლევამ (კითხვარი - „სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნის შესასწავლად") გამოავლინა ქალაქ ფოთში ამ მიმართულებით კვალიფიციური კადრების დეფიციტი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

ამასთან, კოლეჯს აქვს გამოცდილება აღნიშნული მიმართულებით სწავლებისა. 2015 წლიდან ხორციელდება პროფესიული გადამზადების ტრენინგ/კურსი - „შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებში“.

სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ მისიაა წვლილი შეიტანოს ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკურ განვითარებასა და წინსვლაში, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, შესაბამისი კვალიფიციური და მაღალი სამოქალაქო ცნობიერების მქონე კადრების მომზადების თვალსაზრისით.

კოლეჯის სტრატეგიული მიზანია პროფესიული პროგრამების მუდმივი განვითარება ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, სწავლის მსურველთა დაფარვისა და სწავლების ეფექტიანობის ზრდა.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, კერძოდ, პროგრამაზე დაიშვებიან სრული ზოგადი განათლების მქონე პირები.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. კოლეჯი პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობას პროგრამის მიხედვით განსაზღვრავს განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის, სათანადო ინვენტარით აღჭურვილი ფართის, საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემოს (ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები), ბიბლიოთეკის ფონდის, მატერიალური რესურსების მიხედვით, რომელიც გამოიყენება კოლეჯის მიზნების რეალიზაციისთვის და შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, ადამიანური რესურსის გათვალისწინებით. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება აგრეთვე:

ა) A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;

ბ) B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

დაწესებულებას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" მიზნებისათვის A გარემოსთვის გათვალისწინებულია აქვს ერთი საერთო სივრცე თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის - 50 კვ.მ ფართი, სადაც განთავსებულია მერხი და სკამი 20 პროფესიული სტუდენტისათვის.
C გარემოდ გამოყენებულია პარტნიორი ორგანიზაციები შესაბამისი მატერიალური-ტექნიკური ბაზით. დაწესებულებაში B სასწავლო გარემოში არის 25 სამუშაო ადგილი 25 პროფესიულ სტუდენტზე.
ყოველივე ამის გათვალისწინებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის ,,შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" გამოყოფილი სივრცის რესურსი შეადგენს 15 პროფესიულ სტუდენტს ერთ ცვლაში. შესაბამისად, ორცვლიანი სწავლების გათვალისწინებით - 30 პროფესიულ სტუდენტს.

ვიზიტისას, პარტნიორ ორგანიზაციასთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის განხილვისას, გამოიკვეთა, რომ კოლეჯს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" და ამ პროგრამის მოდულში „საწარმოო პრაქტიკა", მითითებული ჰქონდა მხოლოდ ერთი პარტნიორი ორგანიზაცია (შპს „მეტალექს ტრანსი"), ნაცვლად ორისა. გარდა ამისა, ორივე პარტნიორი ორგანიზაციის მიერ მისაღებ სტუდენტთა ჯამური რაოდენობა შეადგენდა 20 სტუდენტს, ნაცვლად 30-სა (10 სტუდენტი - შპს „მოულდს ენდ მეტალს ჯორჯია"; 10 სტუდენტი - შპს „მეტალექს ტრანსი"). პარტნიორი ორგანიზაციის, შპს „მეტალექს ტრანსის" წარმომადგენელთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ორგანიზაცია შეძლებს სტუდენტთა ორ ცვლაში მიღებას (10 – 10 პროფესიული სტუდენტი თითო ცვლაში). აქედან გამომდინარე, კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასა და ამავე პროგრამის შესაბამის მოდულში მეორე პარტნიორი ორგანიზაციის (შპს „მოულდს ენდ მეტალს ჯორჯია") მითითების თაობაზე, ასევე მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე, სტუდენტთა რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით. დაწესებულებამ ვიზიტის ფარგლებში შეასრულა რეკომენდაცია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

4. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

5. პროგრამას არჩევითი მოდულები არ გააჩნია.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი შესაბამისი ინდივიდუალური-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით - ბრძანებით.

7. „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება იდენტურია იმ ჩარჩო დოკუმენტისა, რომლის საფუძველზეც შეიქმნა აღნიშნული პროგრამა, რაც ნიშნავს, რომ შეესაბამება პროგრამის შინაარსს/მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამის შემუშავების საფუძველია ჩარჩო დოკუმენტი „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები/Occupational Safety and Environmental Technology 07311-3.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია, ბრძანება N01/111, 16.11.2017, ცვლილება N01/15, 26.02.2020 „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამატების წესი“;

2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“;

4. ბრძანება N01/129, 21.12.2017, ცვლილება N01/16, 26.02.2020 - სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

5. საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი, ბრძანება N01/36, 27.05.2020;

6. სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ მისია;

7. სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ სტრატეგიული განვითარების გეგმა;

8. მემორანდუმები ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;

9. შეთანხმების აქტი N1, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის დანართი, მხარეებს შორის 2020 წლის 18 მაისს გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე);

10. ინტერვიუირება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ექსპერტთა მოსაზრებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების თეორიული კომპონენტების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულების მფლობელობაში არსებული, თეორიული სწავლებისთვის საჭირო რესურსით აღჭურვილ აუდიტორიებში, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (30 პროფესიული სტუდენტი, ორ ცვლაში) გათვალისწინებით. კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები პარტნიორებთან, რომელთა მატერიალური რესურსები/აღჭურვილობა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული მოდულის „საწარმოო პრაქტიკა“ სწავლის შედეგების მიღწევას, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (30 პროფესიული სტუდენტი, ორ ცვლაში) გათვალისწინებით. რაც შეეხეება პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ რესურსებს/აღჭურვილობას პროფესიული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

სტუდენტის მიერ სხვა დანარჩენი მოდულების პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისათვის, **ვიზიტისას, ექსპერტთა ჯგუფს ადგილზე არ დახვდა საჭირო მატერიალური რესურსები/აღჭურვილობა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კოლეჯს გამოცხადებული აქვს ელექტრონული ტენდერი (დაწყების სავარაუდო თარიღი: 29.06.2020, დასრულების სავარაუდო თარიღი: 30.09.2020) საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი მოწყობილობებისა და უსაფრთხოების საშუალებების შესყიდვის განხორციელების მიზნით, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დაწესებულების მიერ გამოგზავნილ განაცხადში 2.2.1 კომპონენტი დაფიქსირებული იყო „სრულ შესაბამისობაში“ და არ იყო წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა. დაწესებულების განმარტებით, დაფიქსირდა ტექნიკური შეცდომა. ვიზიტის პერიოდში სსიპ კოლეჯმა „ფაზისი“ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა შესაბამისობაში მოყვანის გეგმა, სადაც ასახულია ამ ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის პერიოდი: 29.06.2020 – 30.09.2020, შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსები/აღჭურვილობის შეძენა) და პასუხისმგებელი პირები. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ზემოაღნიშნული საკითხი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაში“.**

2. “შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიული განათლების მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 5 (ხუთი) პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 12 (თორმეტი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროგრამას დანართის სახით თან ახლავს დოკუმენტი პროგრამის განმახორციელებელ ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით.

3. “შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები აღჭურვილი არიან სწავლებისა და შეფასების სათანადო კომპეტენციით, აღნიშნული კომპეტენციები მათ უდასტურდება შესაბამისი კვალიფიკაციით და/ან მრავალწლიანი პროფესიული/პედაგოგიური გამოცდილებით და/ან გავლილი ტრენინგებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფუნქციები და საჭირო უნარები. ვიზიტისას, ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელს და შეამოწმეს მისი პირადი საქმე. პროგრამის ხელმძღვანელმა ექსპერტებთან გასაუბრებისას განაცხადა, რომ იგი ჩართული იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებაში, რომ მას აქვს მოდულური პროგრამით სწავლების გამოცდილება, იცნობს მოდულის სპეციფიკას (ზოგადი, სტანდარტული და დამხმარე ჩანაწერები), შეფასების ფორმებს და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაც არაა მისთვის უცხო.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. კოლეჯში ინახება წიგნადი ფონდის აღრიცხვის საინვენტარო წიგნი, წიგნადი ფონდი დამუშავებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში არის კომპიუტერები და ინტერნეტი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის. ასევე არის ელექტრონული ბიბლიოთეკა - Open Biblio. ექსპერტთა მიერ, მოდულებში მითითებული ლიტერატურიდან შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოები.

6. დაწესებულებას აქვს მზაობა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირებს წვდომა ჰქომდეთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. საჭიროებიდან გამომდინარე, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, თითოეული სსსმ და შშმ პირისათვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. სამუშაო ჯგუფი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს შიდა მონიტორინგში და მასალა წარუდგინოს კოლეჯის დირექტორს. სამუშაო ჯგუფში ერთიანდებიან ის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ არიან საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლები. აგრეთვე შესაძლებელია მშობელის/მშობლების, კოლეჯის ადმინისტრაციის წევრის/წევრების, ფსიქოლოგის (მოწვეული) ჩართულობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

კოლეჯს გაწერილი აქვს სსსმ/შშმ პირებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები. ექსპერტების მიერ დოკუმენტის შესწავლისას გაიცა რეკომენდაცია და დაემატა ერთი პუნქტი (პუნქტი 8), რის თანახმადაც დაწესებულება განახორციელებს სასწავლო რესურსის ადაპტირებას, შშმ/სსსმ პროფესიული სტუდენტების საჭიროებიდან გამომდინარე.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ როგორც პროგრამული, ისე ვაუჩერული დაფინანსებით. დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი. ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დოკუმენტი ელექტრონული ტენდერის გამოცხადების თაობაზე;

2. ელექტრონული ტენდერის საშუალებით საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი მოწყობილობები და უსაფრთხოების საშუალებები (CPV 35100000) სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N1;

3. დოკუმენტი იდენტიფიცირებული სრული შეუსაბამობის აღწერის თაობაზე;

4. განაცხადის დანართი 4 - ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;

5. განაცხადის დანართი 3 - ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;

6. პედაგოგების პირადი საქმეები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

7. სსიპ კოლეჯი „ფაზისის“ დირექტორის 2019 წლის 3 აპრილის N01/33 ბრძანება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვისა და განხორციელების პროცესის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ, ცვლილება N01/17, 26.02.2020;
8. ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი, დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, კოლეჯის დირექტორის ბრძანება N01/111, 16.11.2017, ცვლილება N01/15, 26.02.2020 - „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“;
9. განაცხადის დანართი 5 - პროგრამის ბიუჯეტი;
10. პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
11. დათვალიერების შედეგები;
12. ინტერვიუირება.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო პრაქტიკას. სსიპ კოლეჯ „ფაზისს“ შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი, რომლის თანახმადაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებისთვის კოლეჯში გამოიყენება შემდეგი მექანიზმები:

ა) კოლეჯის მიერ თვითშეფასების ანგარიშის მომზადება და სსიპ ,,განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში” წარდგენა

ბ) კოლეჯში რეალიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ფორმისა და კრიტერიუმების შემუშავება და მათ შესაბამისად ყოველწლიურად შიდა შეფასების განხორციელება;

გ) პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ წარმართულ სასწავლო პროცესსა და სამუშაო ჯგუფებში/პრაქტიკულ მეცადინეობებზე ურთიერთდასწრება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

დ) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პირების, დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვ.) კითხვარების შემუშავება და გამოკითხვის ორგანიზება ყოველწლიურად.

პროგრამის დასრულების შემდეგ კოლეჯი ყოველთვის იღებს უკუკავშირს პროფესიული სტუდენტებისგან, პროფესიული მასწავლებლებისგან და პარტნიორი ორგანიზაციებიდან კმაყოფილების კვლევის საფუძველზე. ასევე, კოლეჯი ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმებას და ახორციელებს კვლევას დასაქმებულთა შესახებ.

2. სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ მიერ მოხდება პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების გაანალიზება და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. კოლეჯში შექმნილია შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც განიხილავს როგორც პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასებებს, ასევე პროფესიული მასწავლებლების მოსაზრებებს პროგრამის/მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით და ანალიზის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის ბრძანება N01/111, 16.11.2017, ცვლილება N06/15, 26.02.2020 „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და დამატების წესი“;

2. დაწესებულების მიერ პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;

3. ინტერვიუირება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ შედგენილია ერთი სასწავლო გეგმა, მოდულებში განსაზღვრული საათების შესაბამისად. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამატების წესის თანახმად, სასწავლო გეგმა უნდა იძლეოდეს ცხად სურათს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესახებ და დაცული უნდა იქნას მოდულებზე დაშვების წინაპირობები. აგრეთვე, როცა მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება განხორციელდება მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასებების ჩატარების პრობლემა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

თუმცა, ექსპერტების მიერ სასწავლო გეგმის შესწავლისას, გამოიკვეთა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც დაცული არ იყო წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალი. კერძოდ: მოდულის „დარგობრივი ინგლისური“ წინაპირობაა მოდული „უცხოური ენა (ინგლისური)“, მოდულის „ქიმიური და ბიოქიმიური საფრთხეების და რისკების კონტროლი“ წინაპირობაა მოდული „საფრთხეებისა და რისკების კონტროლი სამუშაო ადგილზე“, მოდულის „ელექტრო და სახანძრო უსაფრთხოება“ წინაპირობაა მოდული „საფრთხეებისა და რისკების კონტროლი სამუშაო ადგილზე“, სასწავლო გეგმაში კი ეს პირობები არ იყო დაცული. კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია აღნიშნული შეუსაბამობის გამოსწორებასთან დაკავშირებით, რაც გასწორდა კიდეც ვიზიტის ფარგლებში.

2. სსიპ კოლეჯი „ფაზისი“ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. ამისთვის კოლეჯში არსებობს წინადადებების და მოსაზრებების ყუთი, ასევე პერიოდულად ხდება მათი გამოკითხვა, რომელთა ანალიზის საფუძველზე ხდება შემდგომი პროცესების დაგეგმვა.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებას. რაც შეეხება დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, **გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას ზემოაღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსი/აღჭურვილობა არ გააჩნია და გამოცხადებული ტენდერი ვიზიტის პერიოდისთვის ვერ ითვალისწინებს სასწავლო პროცესში დარგის თანამედროვე შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, ვიზიტზე წარმოდგენილ შესაბამისობაში მოყვანის გეგმაში ეს საკითხიც დაწესებულების მხრიდან შეფასდა, როგორც „მეტწილ შესაბამისობაში“. შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობისთვის განსაზღვრულია პერიოდი: 10.09.2020 – 31.10.2020. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს ზემოაღნიშნულ შეფასებას.**

4.ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. დაწესებულებას აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის მექანიზმი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის პროფესიული სტუდენტისათვის სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით შედგენილი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებსა და სწავლის შედეგების მიღწევის გზებს, რომელიც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

პროგრამით განსაზღვრული სასწავლო მიზნებისა და შედეგების ცვლილებას, რომელიც ორიენტირებულია პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე და ფოკუსირებულია შედეგზე. სსიპ კოლეჯი „ფაზისის“ დირექტორის 2019 წლის 3 აპრილის N01/33 ბრძანებით (ცვლილება N01/17, 26.02.2020;) დამტკიცებულია წესი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვისა და განხორციელების პროცესის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ“.

5. კოლეჯის თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით. ვიზიტისას, პარტნიორ ორგანიზაციასთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების განხილვისას, გამოიკვეთა, რომ კოლეჯს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ და ამ პროგრამის მოდულში „საწარმოო პრაქტიკა“, მითითებული ჰქონდა მხოლოდ ერთი პარტნიორი ორგანიზაცია (შპს „მეტალექს ტრანსი“), ნაცვლად ორისა. გარდა ამისა, ორივე პარტნიორი ორგანიზაციის მიერ მისაღებ სტუდენტთა ჯამური რაოდენობა შეადგენდა 20 სტუდენტს, ნაცვლად 30-სა (10 სტუდენტი - შპს „მოულდს ენდ მეტალს ჯორჯია“; 10 სტუდენტი - შპს „მეტალექს ტრანსი“). პარტნიორი ორგანიზაციის, შპს „მეტალექს ტრანსის“ წარმომადგენელთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ორგანიზაცია შეძლებს სტუდენტთა ორ ცვლაში მიღებას (10 – 10 პროფესიული სტუდენტი თითო ცვლაში). აქედან გამომდინარე, კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასა და ამავე პროგრამის შესაბამის მოდულში მეორე პარტნიორი ორგანიზაციის (შპს „მოულდს ენდ მეტალს ჯორჯია“) მითითების თაობაზე, ასევე მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე, სტუდენტთა რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით. დაწესებულებამ ვიზიტის ფარგლებში შეასრულა რეკომენდაცია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

6. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სასწავლო პროცესი განხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულება პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას უზრუნველყოფს კოლეჯში. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, დაწესებულებას გააჩნია უსაფრთხოების შესაბამისი აღჭურვილობა, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია უსაფრთხოების მანიშნებლები, მოდულის განმახორციელებელი პირები პროფესიულ სტუდენტებს უტარებენ უსაფრთხოების ინსტრუქტაჟს, ავსებინებენ უსაფრთხოების ინსტრუქციის ჟურნალს. ვიზიტის დროს ექსპერტებმა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

დათვალიერეს გარემო, შეისწავლეს „უსაფრთხოების ინსტრუქციის ჟურნალი სტუდენტებისათვის“ და გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს. კოლეჯი ხარისხის მენეჯმენტის სისტემას ახორციელებს ISO 9001-2015-ის მიხედვით, ამ შემთხვევაში SOP-001-შრომის დაცვა და ტექნიკური უსაფრთხოება. ISO 9001-2015-ის ფარგლებში შეიქმნა კოლეჯის უსაფრთხოების პოლიტიკა. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული მოდულის „საწარმოო პრაქტიკა“ სწავლებას, რომელიც ხორციელდება კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პრაქტიკული სწავლებისთვის უსაფრთხო გარემო.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ დირექტორის ბრძანება N01/62, 29.06.2020, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ დირექტორის 2020 წლის 27 მაისის N01/38 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

2. სასწავლო გეგმა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ – 0712;

3. დოკუმენტი ელექტრონული ტენდერის გამოცხადების თაობაზე;

4. ელექტრონული ტენდერის საშუალებით საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი მოწყობილობები და უსაფრთხოების საშუალებები (CPV 35100000) სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N1;

5. დოკუმენტი იდენტიფიცირებული სრული შეუსაბამობის აღწერის თაობაზე;

6. განაცხადის დანართი 4 - ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

7. სსიპ კოლეჯი „ფაზისის“ დირექტორის 2019 წლის 3 აპრილის N01/33 ბრძანება (ცვლილება N01/17, 26.02.2020;) „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვისა და განხორციელების პროცესის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ“;

8. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმი

9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);

10. მემორანდუმები ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;

11. შეთანხმების აქტი N1, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის დანართი, მხარეებს შორის 2020 წლის 18 მაისს გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე);

12. სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ პროფესიული ჯანდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა;

13. ინტერვიუირება.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი, რომლის თანახმადაც შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას, სანდოობას, მიუკერძოებლობასა და სამართლიანობას.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. კოლეჯს შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც გაწერილია სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესში. პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შეფასების ინსტრუმენტის გამოყენების შემდეგ, ვალიდაციას აკეთებს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელშიც შედიან კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი და დარგის სპეციალისტ(ებ)ი. ვერიფიკაციის ჯგუფს ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, რომელიც ახდენს ვერიფიკაციის პროცესის კორდინაციას და პასუხისმგებელია ვერიფიკაციის როგორც პროცესზე ასევე შედეგზე.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. წინა ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ იყო გაცემული შემდეგი რეკომენდაცია: სწავლის შედეგების შეფასების წესში, შესაცვლელია მტკიცებულებების შენახვის ვადა, რომელიც განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე და არა 3 წლით. მიმდინარე ვიზიტისას, ექსპერტებმა შემოწმების შედეგად დავადგინეთ, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესის მე-9 მუხლის მე-2



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

პუნქტის თანახმად, მტკიცებულებები ინახება მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით. თუმცა, ამავე წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტში ჩარჩენილია შემდეგი სახის ჩანაწერი: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებები დაცულია და ინახება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ ინახება მუდმივად. კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია აღნიშნული უზუსტობის გასწორებასთან დაკავშირებით, რაც კოლეჯმა შეასრულა კიდეც ვიზიტის პერიოდში.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის. პროგრამის დასრულების შემდეგ კოლეჯი ყოველთვის იღებს უკუკავშირს პროფესიული სტუდენტებისგან, პროფესიული მასწავლებლებისგან და პარტნიორი ორგანიზაციებიდან კმაყოფილების კვლევის საფუძველზე. ასევე, კოლეჯი ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმებას და ახორციელებს კვლევას დასაქმებულთა შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის (განთავსებულია კოლეჯის ვებ-გვერდზე);

2. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია, ბრძანება N01/111, 16.11.2017, ცვლილება N01/15, 26.02.2020 „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამატების წესი“;

3. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ გასაჩივრების წესი;

4. ინტერვიუირება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

## X. თანდართული დოკუმენტაცი

დანართი 1 - ვიზიტის დღის წესრიგი

დანართი 2 - მემორანდუმები ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, 18 მაისი 2020 წელი;

დანართი 3 - შეთანხმების აქტი N1 (ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის დანართი);

დანართი 4 - ელექტრონული ტენდერის გამოცხადების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დანართი 5 - დოკუმენტი იდენტიფიცირებული სრული შეუსაბამობის აღწერის შესახებ;

დანართი 6 - სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ დირექტორის ბრძანება N01/62 „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ დირექტორის 2020 წლის 27 მაისის N01/38 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

დანართი 7 - სასწავლო გეგმა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ – 0712;

დანართი 8 - სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ პროფესიული ჯანდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა.

13.07.2020



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------